საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №146/04
2021 წლის 12 ოქტომბერი

ქ. თბილისი

TIBR ინდექსების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1
დამტკიცდეს TIBR ინდექსების გაანგარიშების თანდართული წესი.
მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსის და მასთან დაკავშირებული TIBR ვადიანი ინდექსების (TERM RATES) გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 14 მარტის №52/04 ბრძანება.
მუხლი 3
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**